სააპელაციო საბჭო

17/12/2024

MES 6 24 0001622725

გადაწყვეტილება

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის №01-18/245 სააპელაციო საჩივრის (№1339389, 17/10/2024) საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 სექტემბრის №1221687 გადაწყვეტილებისა და №1221637 სხდომის ოქმის, სააპელაციო საბჭოს 2024 წლის 4 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 95-ე მუხლის პირველი პუნქტის და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. "შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ 2024 წლის 27 სექტემბრის №1221687 გადაწყვეტილებაზე შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს სრულად;

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის (ს/კ: 200002120) ავტორიზაციის საკითხი.
3. სააპელაციო საბჭოს 2024 წლის 17 დეკემბრის №1622717 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
5. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი